

## განმარტებითი ბარათი

### “ოჯახური ძალადობის აღკვეთის, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ” საქართველოს კანონის პროექტის თაობაზე

წარმოდგენილი კანონპროექტი “ოჯახური ძალადობის აღკვეთის, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ” მომზადებული იქნა გენდერულ საკითხებზე მომუშავე არა-სამთავრობო ორგანიზაციებისა და ექსპერტთა საინიციატივო ჯგუფის მიერ ამერიკის იურისტთა ასოციაციის ცენტრალური ევროპისა და ევრაზიის სამართლებრივი ინიციატივის (ABA/CEELI) მხარდაჭერით. პროექტი განხილვა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან არსებული გენდერული თანასწორობის საკითხთა საკონსულტაციო საბჭომ და მიზანშეწონილად ჩათვალა მისი ინიცირება.

წინამდებარე კანონპროექტს, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს კანონმდებლობაში შემოაქვს ოჯახური ძალადობის ფართო განსაზღვრებას, რომელიც ეფუძნება საერთაშორისო ნორმებით აღიარებულ პრინციპებს.

კანონპროექტით განსაზღვრულია ოჯახური ძალადობის მსხვერპლის დაცვის მექანიზმები. აღსანიშნავია დამცავი და შემაკავებელი ორდერის ინსტიტუტებს შემოღება, რომელსაც გასცემს ან ამტკიცებს სასამართლო. კანონპროექტით განსაკუთრებული როლი მსხვერპლის დაცვაში ენიჭება პოლიციას.

კანონში ცალკე თავი ეძღვნება ოჯახური ძალადობის პრევენციასა და პროფილაქტიკას, აგრეთვე მსხვერპლის სოციალურ და შრომით გარანტიებს.

კანონპროექტის ინიციატორია პარლამენტის წევრი ქეთევან მახარაშვილი